ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. დეკემბრის 20. № 24 ფოილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო მმართველობა

294. მოსახლეობის საპასპორტიზაციოდ საჭირო მასალების და ცნობების საპასპორტო ორგანოებისათვის წარდგენის სფეროში სახლთმმართველობების მოვალეობათა შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

295. უმეთვალყურო და ეული საქონლის შესახებ.

მრეწველობა

296. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი საქმის კომიტეტის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის სამართველოდ რეორგანიზაციისა და ამ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

297. საქართველოს სსრ ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

298. საქართველოს სსრ წყალთა რაიონების შესახებ.

299. 1933 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

300. დაფნის ნარგავთა კულტურის დაცვისა და შემდგომი განვითარების შესახებ.

301 ფარიანი მავნებლის საწინააღმდეგო საკარანტინო ზონაში გორის რაიონის ჩართვის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

302. 1933 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ბამბის დამზადების გეგმისა და ორგანიზაციის შესახებ.

ტრანსპორტი

303. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულებისათვის 12¹ მუხლის დამატების შესახებ.

კავშირგაბმულობა

304. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

კომუნალური და ხაბინაო მეურნეობა

305. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ.

306. მანგლისის კურორტზე 1933 წლის ზაფხულის სეზონში ოთახების ქირის მოწესრიგების შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

307. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოწყობილი მშრომელ ებრაელთა გადასახლებული და განსახლებული კოლექტიური მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების მინიჭების შესახებ.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

308. ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის ამგები კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის ამგები კომიტეტის შესახებ.

309. 1933/1934 სასწავლო წელს ათწლიანი პოლიტექნიკური სკოლის მესამე განყოფილების ქსელის შესახებ.

310. პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ბაზისების სადგომებით უზრუნველყოფის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

294. დადგენილება ხ. ძ. ს.

მოსახლეობის საპასპორტიზაციოდ საჭირო მასალების და ცნობების საპასპორტო ორგანოებისათვის წარდგენის ხფეროში სახლთმმართველობების მოვალეობათა შესახებ.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საპასპორტო სისტემის ჩატარების შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 27-ის დადგენილების მე-II კარის განსავითარებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-18 №-ი, მუხ. 246) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სახლთმმართველობებს,—საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა გამგეობების თავმჯდომარეებისა, ამ ამხანაგობათა სახლის რწმუნებულებისა, ნაციონალიზებული და მუნიციპალიზებული სახლების კომენდანტებისა და კერძო სახლთმმართველობათა სახლების საარჩევნო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (მომარაგების სამეულები, სახლის კომიტეტები და სხვა მისთ.) სახით,—წარადგინონ საპასპორტო ორგანოებში, სსრ კავშირის მოქალაქეთათვის პასპორტების მიცემის შესახები წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, საჭირო მასალა და ცნობები სათანადო სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა შესახებ აღნიშნული ორგანოების მიერ დადგენილ ვადებზე.

2. დაწესებულ იქნეს, რომ ზემოაღნიშნულ პირებს (საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობების თავმჯდომარეებს და რწმუნებულებს, კომენდანტებს, მომარაგების სამეულებს და სხვ.) საპასპორტო ორგანოებში საჭირო მასალისა და ცნობების წარუდგენლობის ან არა თავის დროზე წარდგენისათვის დაედებათ საადმინისტრაციო წესით ჯარიმა 100 მანეთამდე. ხოლო ამ თავიანთი მოვალეობის განმეორებით დარღვევისათვის ისინი მიიცემიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 84[1] მუხლის თანახმად.

3. განიმარტოს, რომ საპასპორტო ორგანოებისათვის წინასწარი შეცნობით არასწორე მასალის წარდგენისა და სახლთმმართველობების მიერ გასაცემ

დოკუმენტებში ტყუილი ცნობების მოთავსებისათვის ზემოაღნიშნული, სახლთ-მმართველობის ხაზით პასუხისმგებელი, პირნი მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხ. თანახმად (სამსახურებრივი სიყალბე).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი**

1933 წ. სექტემბრის 25.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 222 №-ში 1933 წ. სექტემბრის 26.

---

295. დადგენილება ც.ა.კ.და ს.კ.ს.

უმეთვალყურო და ეული საქონლის შესახებ.

„ირაო საქონლის შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 21-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 98) გასაუქმებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უმეთვალყურო და ეულ ოთხფეხ საქონლად ითვლება კოლექტიური მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და კერძო პირის ნახირისაგან ჩამორჩენილი, გზადაბნეული და მეურნეობას მოწყვეტილი ოთხფეხი საქონელი, რომელიც უმეთვალყუროდ დარჩა და გაერია სხვისი მეურნეობის ნახირსა და ჯოგში.

2. ის პირი, რომელიც დაიჭერს უმეთვალყურო და ეულ საქონელს, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს საქონლის პატრონს, უკეთუ იცის იგი, და ჩააბაროს მას საქონელი, ხოლო, უკეთუ არ იცის პატრონი, მოვალეა, არა უგვიანეს სამი დღისა, აცნობოს მილიციის უახლოეს ორგანოს, სასოფლო საბჭოს ან ამ უკანასკნელის რწმუნებულს უმეთვალყურო და ეული საქონლის დაჭერის დრო და ადგილი.

შენიშვნა. სასოფლო საბჭომ ან მისმა რწმუნებულმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეს მუშათა და გლეხთა მილიციის ადგილობრივ ორგანოს.

3. მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანო, მიიღებს რა შეტყობინებას უმეთვალყურო და ეულ საქონელზე, დაუყოვნებლივ შეუდგება ამ საქონლის პატრონის ძებნას.

4. მე-2 მუხლში აღნიშნული ორგანოები უმეთვალყურო და ეულ საქანელს ჩააბარებენ დროებით შესანახად უახლოეს კოლექტიურ მეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას, რომლის ხელმძღვანელსაც არ შეუძლიან უარი სთქვას აღნიშნული საქონლის შესანახად მიღებაზე.

5. დროებით შესანახად მიღებულ საქონელს კოლექტიური მეურნეობა, თუ საბჭოთა მეურნეობა აექსპლოატირებს თავის მეურნეობაში ამ უკანასკნელის მიზნებისა და საჭიროების მიხედვით.

6. უმეთვალყურო და ეული საქონლის დროებით შენახვა და გამოყენება მე-4 მუხლით გათვალისწინებულ მეურნეობებში განისაზღვრება შემდეგი ვადებით: მუშა-საქონლისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და მისი მოზარდობისა (ცხენი, ხარი, ძროხა, აქლემი, ვირი და სხვა მისთ.)—ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო წვრილფეხა საქონლის და მისი მოზარდობისა (ცხვარი, ღორი და სხვა მისთ.)—ორი თვის განმავლობაში.

7. უკეთუ მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში პატრონი აღმოჩნდა, საქონელი იმ ორგანოს განკარგულებით, რომელმაც იგი დროებით შესანახად ჩააბარა, ან სასოფლო საბჭოს განკარგულებით, უნდა დაებრუნოს პატრონს მის მიერ სათანადო დამამტკიცებელი საბუთის წარდგენისას, რომ საქონელი მას ეკუთვნის. პატრონისათვის საქონლის დაბრუნება უნდა ეცნობოს მუშათა და გლეხთა მილიციის სათანადო ორგანოს.

8. პატრონისათვის საქონლის გადაცემის დროს პატრონი მოვალეა აუნაზღაუროს საქონლის შემნახველ მეურნეობას ამ უკანასკნელის მიერ მიღებული უმეთვალყურო და ეული საქონლის კვებაზე გაწეული ხარჯი, იმ სარგოს ჩათვლით, რაც მან მიიღო ამ საქონლის გამოყენებით.

შენიშვნა. საკითხი საქონლის შესანახი ხარჯისა და მისი გამოყენებით მიღებული სარგოს ჩათვლის შესახებ, უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, გადაწყდება სასამართლო წესით.

9. უკეთუ მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში უმეთვალყურო და ეული საქონლის პატრონი არ აღმოჩნდა, საქონელი გადადის იმ მეურნეობის საკუთრებად, სადაც იგი ინახებოდა, და პატრონი ჰკარგავს ყოველგვარ უფლებას ამ საქონელზე.

10. უმეთვალყურო და ეული საქონლის დაჭერის შეუტყობინებლობა და მისი დაუზოგველი ექსპლოატაცია იდევნება სისხლის სამართლის წესით.

11. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ერთი თვის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. სექტემბრის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 219 №-ში 1933 წ. სექტემბრის 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

296. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი საქმის კომიტეტის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოდ რეორგანიზაციისა და ამ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი საქმის კომიტეტი რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოდ.

2. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ზემოაღნიშნული სამმართველოს შესახებ.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. მარტის 23.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს შესახებ.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს ძირითად ამოცანას შეადგენს:

ა) დაგეგმოს და მოაწესრიგოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა ის სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი გამომცემლობის საწარმოო-საგამომცემლო მოქმედება, რომელიც პერიოდულ და არაპერიოდულ ლიტერატურას უშვებს, და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობა;

ბ) შეაკავშიროს და საერთო მიმართულება მისცეს მთელ მუშაობას საქართველოს სსრ პერიოდული და არაპერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გავრცელების სფეროში;

გ) შეიმუშაოს ღონისძიებანი ბეჭდვითი საქმის მატერიალური ბაზისის გადიდებისათვის (ქაღალდი, პოლიგრაფია) და მისი უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის გამომცემლობებში.

2. ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნული ამოცანების შესაბამისად საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის საქმიანობა:

ა) ადგენს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარების ჯუმლობითს წლიურ, კვარტალურ და საპერსპექტივო საწარმოო-საფინანსო გეგმებს, კერძოდ—საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის და ტექნიკური რეკონსტრუქციისა, წიგნის ვაჭრობისა და პერიოდული პრესის გავრცელების საწარმოთა გეგმებს;

ბ) ამტკიცებს სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ გამომცემლობათა და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობისა, წიგნის ვაჭრობისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პერიოდული პრესის გავრცელების საწარმოთა საწარმოო-საფინანსო და სავაჭრო-საფინანსო გეგმებს;

გ) ამუშავებს საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიულ საწარმოთა და აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გავრცელების საწარმოთა დაფინანსებისა და დაკრედიტების გეგმას, ანაწილებს, ფინანსთა სახალხო კომისარიატის მონაწილეობით, ბეჭდვითი დაფინანსების ფონდს და უწევს საერთო კონტროლს გაცემულ სახსართა გამოყენებას;

დ) ამოწმებს საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის ცალკეულ საწარმოთა მიერ მთავრობის უაღრესი მნიშვნელობის მქონე დირექტივების აღსრულებას, კერძოდ—კონტროლს უწევს გამომცემლობათა და საგამომცემლო პოლიგრაფიის და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებების გავრცელების საწარმოთა საწარმოო-საფინანსო გეგმების ძირითადი მაჩვენებლების აღსრულებას, და იკვლევს ამ საწარმოთა მოქმედებას;

ე) ამტკიცებს საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებების გავრცელების საწარმოთა ბალანსებსა და ანგარიშებს, ანაწილებს მოგებას და ზარალს და ნებას რთავს სპეციალური კაპიტალების ხარჯვისას;

ვ) სწყვეტს საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოთა და აგრეთვე წიგნის ვაჭრობისა და ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების საწარმოთა გახსნისა, ლიკვიდაციისა, ტიპიზაციისა და გაერთიანების საკითხებს და იხილავს და დასკვნებს აძლევს ამ საწარმოთა წესდებების პროექტების შესახებ;

ზ) ამუშავებს ღონისძიებებს პერიოდული პრესის გამომცემლობათა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებების გავრცელების საწარმოთა ქსელის გეგმაშეწონილად გაშლისათვის; ხმარობს ღონისძიებებს სარაიონო, საფაბრიკო-საქარხნო და საკოლმეურნეო ბეჭდვითი სიტყვისა და მისი მატერიალური ბაზისის ყოველმხრივი განვითარებისათვის;

თ) ნებას რთავს ახალ პერიოდულ გამოცემათა გამოშვებისას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

ი) ადგენს ქაღალდის განაწილების წლიურ და კვარტალურ გეგმებს, რისთვისაც მხედველობაში იღებს, პირველ რიგში, საგამომცემლო და საგამომცემ-

ლო პოლიგრაფიული მრეწველობის მაქსიმალურად უზრუნველყოფას და სასწავლებელთათვის სასწავლო ლიტერატურის მიწოდებას; თვალყურს ადევნებს ქაღალდის გამსაღებელი ორგანიზაციების მიერ აღნიშნული გეგმების აღსრულებას;

კ) ამუშავებს ღონისძიებებს გამომცემლობათა მიერ ქაღალდის მოხმარების რაციონალიზაციისათვის;

ლ) ხმარობს ღონისძიებებს ქაღალდის რესურსების გადიდებისათვის, კერძოდ, კულტურული ხარისხის ქაღალდისა: საბეჭდი, საგაზეთო და საწერი ქაღალდისა;

მ) მონაწილეობას იღებს საქაღალდო მრეწველობის კაპიტალური მშენებლობისა და დაფინანსების გეგმების შემუშავებაში;

ნ) ათანხმებს მრეწველობის იმ ცალკეული დარგების მუშაობას, რომელნიც მომსახურეობას უწევენ საქართველოს სსრ საგამომცემლო და პოლიგრაფიულ საქმეს, და მონაწილეობას იღებს საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის ნედლეულით, გაწყობილობით და მასალით მომარაგების მოწყობაში;

ო) აწესებს საგამომცემლო და პოლიგრაფიული პროდუქციის საკალკულაციო ნორმებს და საგასაცემო ნორმებს;

პ) ხელმძღვანელობას უწევს სასტანდარტიზაციო და სარაციონალიზაციო მუშაობას საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიულ მრეწველობაში, წიგნის ვაჭრობაში და პერიოდული პრესის გავრცელებაში, აგრეთვე საწარმოთა შორის გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის საქმეში;

ჟ) ხელმძღვანელობას უწევს საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობისა, წიგნის ვაჭრობისა და პერიოდული პრესის გავრცელებისათვის კადრების მომზადების საქმეს; აწარმოებს აღნუსხვას და თვალყურს ადევნებს ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების წესიერად გამოყენებას; ანხორციელებს ღონისძიებებს შრომის ორგანიზაციისათვის;

რ) ამუშავებს საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა ექსპორტის გეგმებს და თვალყურს ადევნებს ამ გეგმების აღსრულებას;

ს) ხელმძღვანელობას უწევს ნაბეჭდი პროდუქციის აღრიცხვას და ბეჭდვითი საქმის სტატისტიკას.

3. დაკისრებული ამოცანების განხორციელებისათვის საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს უფლება აქვს:

ა) გამოსცეს წესები, სახელმძღვანელო ინსტრუქციები, დადგენილებები და განკარგულებები, რაც მოაწესრიგებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიულ მრეწველობას, წიგნის ვაჭრობას და პერიოდული პრესის გავრცელების საწარმოთ მოქმედებას;

ბ) შეიმუშაოს და წარუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების პროექტები ბეჭდვითი საქმის შესახებ.

4. საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველო ეწყობა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული თავმჯდომარის და მისი მოადგილისა და აგრეთვე სხვა მოხელეთა შედგენილობით, რომელთა რიცხვიც განისაზღვრება შტატით.

---

297. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს სსრ ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობისათვის კონკრეტული და უშუალო ხელმძღვანელობის გაწევის უზრუნველსაყოფად და აგრეთვე საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შესამცირებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში არსებული ტყავ-ფეხსაცმელის ტრესტი („ტყავტრესტი") გაუქმებულ იქნეს.

2. ამ ტრესტის შედგენილობაში შემავალი საწარმონი დაქვემდებარებულ იქნენ უშუალოდ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის და მის აპარატში მოეწყოს სპეციალური განყოფილება (სექტორი) ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობის საწარმოთა მუშაობისათვის ოპერატიული და საწარმოო-ტექნიკური ხელმძღვანელობის გასაწევად.

3. ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობის ყველა ის საწარმო, რომელიც ტყავ-ფეხსაცმელის ტრესტის შედგენილობაში შედიოდა, გადაყვანილ იქნეს დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე და მიეცეს მას იურიდიული პირის უფლებანი.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) გაანაწილოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გაუქმებული ტყავ-ფეხსაცმელის ტრესტის ქონება, ფასეულობა და საბრუნავი სახსარი, 1933 წ. სექტემბრის 1-ლის ბალანსით, ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ საწარმოთა შორის;

ბ) დაამტკიცოს ერთი თვის ვადაზე აღნიშნულ საწარმოთა წესდებანი და განსაზღვროს მათი ფუნქციები, უფლებანი და მოვალეობანი სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების 15-23 მუხლებისა და „საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისათვის, რომელთა სისტემაშიაც უშუალოდ ზედიან ცალკეული საწარმონი, რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე ტრესტების ზოგიერთი ფუნქციის დაკისრების შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მაისის 7-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. ჯრ. 1933 წ. მე-12 №-ი, მუხ. 151) შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გაანაწილოს გაუქმებული ტრესტის კადრები—მათი ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობის საწარმოებსა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის აპარატში გამოყენებით;

დ) შეიმუშაოს ორი თვის ვადაზე და შემოიტანოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში კანონპროექტი ამა დადგენილებით საქართველოს კანონმდებლობაში გამოწვეულ ცვლილებათა შესახებ.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—გადასინჯოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა და შტატები ამა დადგენილებაში აღნიშნულ ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1933 წ. სექტემბრის 5.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

298. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ წყალთა რაიონების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის წყალთა შემდეგი დარაიონება:

1) ტფილისის წყალთა რაიონი (ტფილისის, მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგის საადმინისტრაციო რაიონები, აღბულახ-მანგლისის საადმინისტრაციო რაიონის ჩრდილოეთი ნაწილი და წალკის საადმინისტრაციო რაიონი) დიღმის, მუხრანის და დუშეთის ჰიდროტექნიკური უბნებით;

2) თელავის წყალთა რაიონი (თელავის, ყვარლის და თიანეთის საადმინისტრაციო რაიონები);

3) გურჯაანის წყალთა რაიონი (გურჯაანის, ლაგოდეხის და სიღნაღის საადმინისტრაციო რაიონები);

4) საგარეჯოს წყალთა რაიონი (საგარეჯოს საადმინისტრაციო რაიონი);

5) ბორჩალოს წყალთა რაიონი (ბორჩალოს საადმინისტრაციო რაიონი და აღბულახ-მანგლისის საადმინისტრაციო რაიონის სამხრეთი ნაწილი) აშალასარალის, გიაურ-არხის და ქაჩაგანის ჰიდროტექნიკური უბნებით;

6) ლუქსემბურგის წყალთა რაიონი (ლუქსემბურგის და ბაშკიჩეთის საადმინისტრაციო რაიონები);

7) კასპის წყალთა რაიონი (კასპის საადმინისტრაციო რაიონი);

8) გორის წყალთა რაიონი (გორის საადმინისტრაციო რაიონი);

9) სტალინისის წყალთა რაიონი (სტალინისის და ბორჯომის საადმინისტრაციო რაიონები);

10) ახალციხის წყალთა რაიონი (ახალციხის, ადიგენის, ტოლოშის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის საადმინისტრაციო რაიონები) ადიგენის და ტოლოშის ჰიდროტექნიკური უბნებით;

11) ქუთაისის წყალთა რაიონი (ხორაგოულის, ჭიათურის, ზესტაფონის, ჩხარის, ბაღდადის, ქუთაისის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ქვემო-სვანეთის საადმინისტრაციო რაიონები) ბაღდადის ჰიდროტექნიკური უბნით;

12) ხონის წყალთა რაიონი (ხონის, სამტრედიის და ვანის საადმინისტრაციო რაიონები);

13) აბაშის წყალთა რაიონი (აბაშის, მარტვილის, სენაკის, ხობის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, წალენჯიხის, ფოთის და ზემო-სვანეთის საადმინისტრაციო რაიონები) მარტვილის და ზუგდიდის ჰიდროტექნიკური უბნებით;

14) ოზურგეთის წყალთა რაიონი (ჩოხატაურის, ლანჩხუთის და ოზურგეთის საადმინისტრაციო რაიონები);

15) აფხაზეთის წყალთა რაიონი (აფხაზეთის ავტ. სსრ);

16) აჭარისტანის წყალთა რაიონი (აჭარისტანის ავტ. სსრ);

17) სამხრეთ-ოსეთის წყალთა რაიონი (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი);

18) ალაზნის წყლის საინჟენერო სისტემა.

2. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალსამეურნეო სამმართველოს—შეიტანოს, ერთი თვის ვადაზე და 1933 წლის. თვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებისამებრ, წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების სისტემაში ცვლილებანი, რაც გამომდინარეობს ზემოაღნიშნული დარაიონებიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ბ. თათეიშვილი.**

1933 წ. ოქტომბრის 10.
ტფილისი.

---

299. დადგენილება ს. კ. ს.

1933 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

„1933 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აგვისტოს 9-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 51 №-ი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 301) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო, 1933 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილების, შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ზოგადი დებულებანი:

1. წყლის გამოსაღები შემოღებულია საქართველოს სსრ წყლის ქსელის და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალსამეურნეო სამმართველოს ადმინისტრირებაში მყოფ წყალსამეურნეო დაწესებულებათა ქვედა აპარატის შენახვისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად.

2. წყლის გამოსაღებით შემოსული თანხებიდან გაწეულ უნდა იქნეს წყლის ქსელის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული შემდეგი ხარჯები:

ა) წყალსამეურნეო გამართულობათა და ნაგებობათა მიმდინარე რემონტი და აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებული პროექტირება;

ბ) არსებულ წყლის სისტემათა საექსპლოატაციო დარგის ორგანოების სასამსახურო, სასაწყობო და სხვა სადგომების შენახვა და რემონტი;

გ) არსებულ წყლის სისტემათათვის მომსახურეობის გამწევი სატელეფონო კავშირგაბმულობის შენახვა და რემონტი;

დ) საექსპლოატაციო ჰიდრომეტრია და მიმდინარე სტატისტიკა;

ე) საერთო სარგებლობის არხების გასწვრივ ხე-ნარგავთა დაცვა;

ვ) რწყვის პერიოდში წყლის განაწილების მოწესრიგებისათვის საჭირო სამუშაოები;

ზ) წყლის სისტემების ექსპლოატაციის გამგებელ ქვედა დაწესებულებათა, მათ შორის, სარაიონოთაც, საექსპლოატაციო შტატის შენახვა.

შენიშვნა. მთლად საირიგაციო სისტემაზე წარმოებული ახალი დიდი და წვრილი მშენებლობის ხარჯები წყლის გამოსაღებით არ იფარება.

3. საგადასახადო წელიწადი წყლის გამოსაღებისათვის დაწესებულია 1933 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე.

4. წყლის გამოსაღები გადახდება ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს, კოლექტიურ მეურნეობას, კოოპერატიულ ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც გამოიყენებს წყალს წყალსამეურნეო სისტემიდან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მორწყვისათვის და მამოძრავებელ ძალად საწარმოში, ხოლო ქვემოთ განსაზღვრულ შემთხვევებში,—აგრეთვე სამრეწველო და სატექნიკო მიზნებისათვის.

5. წყალმოსარგებლენი, წყლის გამოსაღების გადასახადის გარდა, გაიწევიან ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე იმ წესით და იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილებით „ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 116).

II. საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების დაბეგვრა.

6. წყლის გამოსაღები საბჭოთა მეურნეობისა და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის გამოიანგარიშება და გადაიხდევინება იმ წესით და იმ რაოდენობით, რაც დადგენილია სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და არტელისათვის (მუხ. მე-8 და 9).

III. კოლექტიური მეურნეობების დაბეგვრა.

7. წყლის გამოსაღები კოლექტიური მეურნეობისათვის გამოიანგარიშება იმ სარწყავი მიწების ფართობის მიხედვით, რაც უჭირავს როგორც სამინდვრე, ისე სპეციალურ კულტურებს (ბაღი, ვენახი, ბოსტანი და სხვა მისთ.), და წყლით მომქმედი საწარმოს შემოსავლის მიხედვით.

სარწყავი მიწების ფართობი სათვალავში მიიღება ისეთი რაოდენობით, როგორც 1933 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის, ე. ი. საგაზაფხულო ნათესის ფართობი—მეურნეობისათვის დადგენილი გეგმის კვალობაზე, ხოლო საშემოდგომო ნათესის და მრავალწლიან ნარგავთა ფართობი—ფაქტიური აღრიცხვის ცნობების კვალობაზე.

აგრეთვე, წყლით მომქმედი საწარმოს შემოსავალი სათვალავში მიიღება ისეთი რაოდენობით, როგორც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

8. წყლის გამოსაღები კოლექტიურ მეურნეობებს სარწყავი მიწებისათვის გადახდებათ შემდეგი განაკვეთებით მანეთობით ერთ ჰექტარ სარწყავ ნათესსა და ნარგავზე:

კულტურების სახელწოდება	კომუნა და სასოფლო-სამეურნეო არტელი	მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა
მარცვლეული, ოთხფეხი საქონლის საკვები, ფესვნარი და ნათესი:		
ბალახი	2—50	3—60
კარტოფილი	3—25	4—60
მზეუმვრიტა	2—00	2—80
თამბაქო	12—50	17—50
ბოსტნეული	18—00	25—00
ბაღჩა	14—50	20—00
სათიბი და სასილოსო ნათესი . .	1—10	1—50
ბაღი და სამხილეულო	30—00	43—00
ვენახი	20—00	28—00
მანდარინის ნარგავი	47—00	68—00
ბამბა	2—50	3—50

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. კოლექტიური მეურნეობების წყლით მომქმედ საწარმოთ წყლის გამოსაღები გადაჰხდებათ:

ა) სასოფლო-სამეურნეო კომუნის და არტელისას—3 კაპიკის რაოდენობით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე;

ბ) მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობისას—4 კაპიკის რაოდენობით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

10. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული კოლექტიური მეურნეობა, რომელიც მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, განთავისუფლდება ამისდაშესაბამისად წყლის გამოსაღებისაგანაც.

IV. კოლმეურნეთა მეურნეობების არაგანსაზოგადოებული ნაწილის დაბეგვრა

11. კოლექტიური მეურნეობის ის წევრი, რომელსაც აქვს სარწყავი მიწების და წყლით მომქმედი საწარმოს არაგანსაზოგადოებული შემოსავალი, დაიბეგრება წყლის გამოსაღებით იმ განაკვეთების კვალობაზე, რაც დადგენილია სათანადო კოლექტიური მეურნეობისათვის, სახელდობრ: სასოფლო-სამეურნეო კომუნის და არტელის წევრი—ამ კომუნისა და არტელისათვის დადგენილი განაკვეთით, ხოლო მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობის წევრი—ამ ამხანაგობისათვის დადგენილი განაკვეთით.

12. კოლექტიური მეურნეობის წევრი, რომელიც 1933 წელს მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, განთავისუფლდება ამისდაშესაბამისად წყლის გამოსაღებისაგანაც.

V. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების დაბეგვრა.

13. წყლის გამოსაღებს ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი იხდიან სარწყავი მიწების შემოსავალზე, შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით, და წყლის ძალის გამოყენებით მომუშავე საწარმოთა ან სამრეწველო თუ სატექნიკო მიზნით წყლის გამომყენებელ საწარმოთა შემოსავალზე სოფლად, რაც გამოანგარიშებულია 1933 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

14. წყლის გამოსაღებს ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი იხდიან შემდეგი განაკვეთებით:

როდესაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა არის:	წყლის გამოსაღებად საბეგრი შემოსავლის ოვითეულ მანეთზე გადასადევინება:
100 მანეთამდე	3 კაპ.
100 მანეთზე მეტი 200 მანეთამდე	5 „
200 „ „ 300 „	8 „
300 „ „ 400 „	11 „
400 „ „ 500 „	14 „
500 „ „ 600 „	17 „
600 „ „ 700 „	21 „
700 „ „ 800 „	26 „
800 „ „ 1.000 „	32 „
1.000 „ „	36 „

15. ერთპიროვნული მეურნეობა-სამელიორაციო ამხანაგობის წევრი წყლის გამოსაღებს იხდის ამა დადგენილების მე-14 მუხლის წესით გამოანგარიშებული გამოსაღების თანხის 50%-ის რაოდენობით.

16. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების წყლის გამოსაღებით დაბეგვრის დროს შეფარდებულ უნდა იქნეს შემდეგი შეღავათები:

ა) მცირეძალოვანი მეურნეობა, რომელიც, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 17-ის დადგენილების 59 მუხ. წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-15 №-ი, მუხ. 206), განთავისუფლებულია 1933 წელს მთლად ან ნაწილობრივ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, განთავისუფლდება იმავე წესით სრულიად ან ნაწილობრივ წყლის გამოსაღებისაგანაც;

ბ) წყლის გამოსაღებისაგან განთავისუფლდება ყველა ის მეურნეობა, რომლის წყლის გამოსაღების განაკვეთიც ერთ მანეთს არ აღემატება.

IV. კულაკური მეურნეობების დაბეგვრა.

17. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობა (კულაკური) წყლის გამოსაღებს გადაიხდის სარწყავი მიწებისა და წყლის ძალის გამოყენებით მომუშავე ან წყლის სამრეწველო თუ სატექნიკო მიზნით გამომყენებელი საწარმოს შემოსავლის მიხედვით, რაც გამოანგარიშებულია 1933 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

18. ის მეურნეობანი, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით იბეგრებიან, წყლის გამოსაღებს იხდიან შემდეგი განაკვეთებით:

როდესაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა არის:	წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე გადაიხდევინება:
არა უმეტეს 500 მანეთისა	18 კაპ.
500 მანეთზე მეტი 600 მანეთამდე	24 „
600 „ „ 700 „	30 „
700 „ „ 800 „	36 „
800 „ „ 900 „	45 „
900 „ „ 1000 „	54 „
1000 „ „	60 „

19. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილ მეურნეობას წყლის გამოსაღების სფეროში არავითარი შეღავათი არა აქვს.

VII. დაბეგვრა იმ სახელმწიფო, საზოგადო ბრივი და კერძო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისა, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან.

20. წყლის გამოსაღები ქალაქად და აგრეთვე იმ საწარმოთათვის, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან, დაწესებულია შემდეგი განაკვეთებით:

ა) სარწყავი მიწის ნაკვეთის თვითეულ კვადრატულ მეტრზე—0,2 კაპ;

ბ) ადგილობრივი ტიპის წყალმომქმედ საწარმოსათვის (წისქვილი, სანაყავი და სხვა მისთ.) ყოველ თვალზე, ყოველ ვალცზე ან წყვილ მორგვზე,—იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება, თუ სხვა არხში,—5 და 15 მან;

გ) საინჟენერო ტიპის წყალმომქმედ საწარმოსთვის (მექანიკური ძრავით), რომელიც წყალს იყენებს როგორც მამოძრავებელ ძალას, თვითეულ ძალაზე,—იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება, თუ სხვა არხში, —10 და 20 მან.;

დ) იმ საწარმოსთვის, რომელიც წყალს სამრეწველო და სატექნიკო მიზნით იყენებს (რკინის გზის გარდა), თვითეულ კილოლიტრზე—1,65 კაპ.

21. წყლის გამოსაღები რკინის გზისთვის დაწესებულია შემდეგი რაოდენობით:

ა) სარწყავი ქსელიდან მილებით, თვით დენით, განუწყეტლივ მიღებული წყლისთვის ერთ სეკუნდო-ლიტრზე—800 მან.;

ბ) წყალსაქაჩით მიღებული წყლისთვის ერთ კუბო-მეტრზე—3 კაპ.

VIII. წყლის გამოსაღების გადახდის ვადები.

22. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელნი წყლის გამოსაღებს იხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისათვის დაწესებულ ვადებზე.

22. ის ორგანიზაციები და პირები, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან, წყლის გამოსაღებს იხდიან ორ ვადაზე: 50%-ს 1933 წ. ოქტომბრის 1-თვის და 50%-ს—დეკემბრის 1-თვის.

IX. წყლის გამოსაღების გადამხდევინებელი ორგანოები. განცხადებათა და საჩივართა შეტანის და განხილვის წესი.

24. წყლის გამოსაღების გამოანგარიშება და გადახდევინება ეკისრება:

ა) სოფლად და აგრეთვე ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება,—იმ ორგანოებს, რომელნიც აღნიშნულ არიან „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 17-ის დადგენილების. მე-VI კარში (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-15 №-ი, მუხ. 206);

ბ) ქალაქებში, სადაც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება,—იმ ორგანოებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ მიწის რენტის გამოანგარიშება და გადახდევინება.

შენიშვნა. იმ ადგილას, სადაც მოსახლეობა დაბეგრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, წყლის გამოსაღები გადაიხდევინება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საშენაწერო ფურცლით ამ გადასახადთან ერთად.

25. რკინის გზების ხვედრ წყლის გამოსაღებს გამოიანგარიშებენ თვით რკინის გზები არა უგვიანეს 1933 წლის ოქტომბრის 1-ისა ორიენტირულად 1933 წლის პირველი ნახევარწლის განმავლობაში დახარჯული წყლის რაოდენობის მიხედვით და გადაიხდიან 23 მუხლში აღნიშნულ ვადებზე.

შენიშვნა. წყლის გამოსაღების გადაანგარიშება წლიური ანგარიშის ცნობების მიხედვით მოხდება არა უგვიანეს 1914 წლის თებერვლის 1-ისა.

26. წყლის გამოსაღების გადამხდელთა განცხადებანი და საჩივრები შეიტანება და განიხილება:

ა) ამა დადგენილების 24 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში—იმ წესით, რაც დადგენილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში განცხადებების და საჩივრების შეტანისა და განხილვისათვის;

ბ) იმავე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში—იმ წესით, რაც დადგენილია მიწის რენტის სფეროში განცხადებების და საჩივრების შეტანისა და განხილვისათვის.

X. წყლის გამოსაღების გადამხდელთა პასუხისმგებლობა.

27. იმ გადამხდელთ, რომელნიც წყლის გამოსაღებს დადგენილ ვადაზე არ გადაიხდიან, შეეფარდებათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მენარჩენეთათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი.

XI. შემოსული წყლის გამოსაღების განაწილება.

28. წყლის გამოსაღებით შემოსული თანხები ჩაირიცხება რესპუბლიკის სპეციალურ წყლის ფონდში და განაწილდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქის და საერაონო ბიუჯეტებს შორის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენილ სამებრ, თვითეული რაიონის საჭიროების პროპორციულად.

ეს სახსარი უნდა მოხმარდეს მარტოოდენ ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საჭიროებას.

XII. ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

29. ინსტრუქციებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სათანადო შემთხვევაში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალსამეურნეო სამმართველოსთან შეთანხმებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. სექტემბრის 14

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 216 № ში 1933 წ. სექტემბრის 18.

---

300. დადგენილება ს.კ.ს.

დაფნის ნარგავთა კულტურის დაცვისა და შემდგომი განვითარების შესახებ.

დაფნის ნარგავთა კულტურის დაცვისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ვინაიდან ამ ნარგავთ აქვთ დიდი მნიშვნელობა საკამადოსაგემოო, საკონსერვო და საფარმაციო მრეწველობისათვის, როგორც დაფნის ფოთლის ძირითადი მომხმარებლისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს როგორც ბუნებრივ (ტყის), ისე ხელოვნურად გაშენებულ (სანერგე) დაფნის ნარგავთა მოჭრა და ამოძირკვა კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე და აგრეთვე სახელმწიფო ფონდის მიწებზე.

2. დაფნის ნარგავთა მოჭრა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულად საჭირო შემთხვევაში (გზის გაყვანა, სარწყავი არხის გათხრა, სამშენებლო ფართობების გაწმენდა და სხვა მისთ.) თვითეულჯერ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით, აგრეთვე იმ სათანადო უწყების ნებართვით, რომლის გაგებლობაშიაც დაფნით დაფარული

მოსაჭრელი ტყის ნაკვეთებია, თანაც იმ აუცილებელი პირობით, რომ იმ ორგანიზაციამ, რომელსაც გადაეცემა დაფნით დაჭერილი ფართობი, გაშენოს, მოჭრილის ნაცვლად, ახალი დაფნის ნარგავები გაკაფული სივრცეებ[illegible] ფართობზე.

3. წინადადება მიეცეს მედაფნეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს—გამოსცენ, „სავალდებულო აგრონომიული წესების დამყარების შესახებ“ გამოქვეყნებული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 26-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-7 №-ი, მუხ. 94), სავალდებულო დადგენილებანი სახელმწიფო ფონდის მიწებზე, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში, აგრეთვე კოლექტიური მეურნეობების მიწებზე, კოლმეურნეების ინდივიდუალური სარგებლობის მიწებზე და ინდივიდუალური მეურნეობების მიწებზე დაფნის ფოთლის შეგროვების წესების შესახებ—ისე, რომ ეს წესები წინასწარ შეთანხმებულ იქნეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და აგრეთვე სათანადო უწყებასთან, რომლის გამგებლობაშიაც ის დაფნიანი ტყის ნაკვეთებია, რასაც ეხება გამოსაცემი სავალდებულო დადგენილება.

4. განთავისუფლებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან დაფნის სანერგეები და ხელოვნურად გაშენებული დაფნის ნარგავები ხნოვანებით 5 წლამდე. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მისცეს სარაიონო საგადასახადო კომისიებს დირექტივები ამა დადგენილების შესაბამისად.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მედაფნეობისათვის აგრიკულტურული მომსახურეობის გაწევის მიზნით—უზრუნველყოს შემდეგ სადაფნე ღონისძიებათა განხორციელება:

ა) კოლექტიური მეურნეობების მიერ საჩვენებელ სანერგეთა, სანიმუშო დაფნსახმობთა და საჩვენებელ დაფნის პლანტაციათა მოწყობა;

ბ) საკვლევი ინსტიტუტებისა, საცდელი სადგურებისა და ქიმიური ლაბორატორიების მონაწილეობა დაფნის კულტურის და დაფნის ფოთლის და მხილის (ნაყოფის) გადასამუშავებლად საჭირო საქმიანობის ჩატარებაში;

გ) კოლექტიურ მეურნეობებში დაფნის სანერგეებისა და პლანტაციების სამაგალითოდ დაყენებისათვის კონკურსების მოწყობა;

დ) დაფნის სარგავად ნიადაგის დამუშავების მექანიზაციისა და ნიადაგის მწკრივადი დამუშავებისათვის ცდების მოწყობა;

ე) დაფნის კულტურისა, ფოთლის მოკრეფის და გახმობისა და სანერგეთა საქმის შესახებ პოპულარული ბროშურების შედგენა;

ვ) დაფნის საქმის მცოდნე აგრონომებისა და აგროტექნიკოსების კადრებით ადგილების უზრუნველყოფა;

ზ) ველურად აღმოცენებული დაფნის ფართობების გამორკვევა ნაკრძალთა („ზაპოვედნიკ") შესაქმნელად და ამ ფართობების გვერდით მდებარე [illegible] სუფალი მიწების გამორკვევა, რაც შეიძლება მიჩენილ იქნეს დაფნის [illegible] ბისათვის:

თ) დაფნის საცდელი რგვის ჩატარება აღმოსავლეთი საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც ბუნებრივმა პირობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ამ კულტურის განვითარებას, თანაც ისეთი მიწების შერჩევით, რომლებიც სხვა კულტურებისათვის არ ვარგა.

6. დადასტურებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1933 წლის აპრილის 4-ის დადგენილებით გათვალისწინებული დაფნის ნარგავთა კულტურისათვის აგრო-მომსახურეობის გაწევის წესი, და დაევალოს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დაფნის ფოთოლს ამზადებს, უცილობლად გადასცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის 1932 წ. ოქტომბრის 10-ის თარიღისა და მე-40 №-ის დადგენილებით გათვალისწინებული ანარიცხები დაფნის ფოთლის სადამზადებლო ღირებულების 10%-ის რაოდენობით, რაც სპეციალურად დანიშნულია დაფნის კულტურის აგრომომსახურეობისა და განვითარებისათვის.

7. ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით სატყეო კანონების დარღვევის ანალოგიურად (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8, 86 და 87 მუხლები).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ვ. თათეიშვილი.**

1933 წ. სექტემბრის 13.

ტფილისი.

---

301. დადგენილება ს.კ.ს.

ფარიანი მავნებლის საწინააღმდეგო საკარანტინო ზონაში გორის რაიონის ჩართვის შესახებ.

„აღმოსავლეთ საქართველოს გორის რაიონის კარანტინქვეშ გამოცხადების შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1933 წ. აგვისტოს 2-ის თარიღისა და 1901 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გორის რაიონი ჩართულ იქნეს ფარიანი მავნებლის საწინააღმდეგო საკარანტინო ზონაში, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 19-ის დადგენილებით „ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კარანტინის ჩატარების უზრუნველყოფის ღო-

ნისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-12 №-ი, მუხ. 153), და გავრცელებულ იქნეს ამ რაიონზე აღნიშნული დადგენილების მოქმედება ამავე მისი შემდგომი ცვლილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. სექტემბრის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 206 №-ში 1933 წ. სექტემბრის 6.

ვაჭრობა. მომარაგება

302. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ბამბის დამზადების გეგმისა და ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 8 ის დადგენილების შესაბამისად, 1933 წლის მოსავლის ნედლი ბამბის დამზადების გეგმა განსაზღვრულ იქნეს 8.300 ტონას რაოდენობით და რაიონებზე და სექტორებზე შემდეგი განაწილებით:

(ტონობით).

რაიონები:	საბჭოთა მეურნეობ.	კოლექტ. მეურნ., რომელთაც მომსახურეობას სამანქ.-სატრაქტ. სადგურებ. უწევს.	კოლექტ. მეურნ. რომელთაც მომსახურეობას სამანქ.-სატრაქტორო სადგურ. არ უწევს.	ერთპიროვნული მეურნეობანი.	სამანქ.-საურ. სადგურ. ნატურასაფიდელი მოსავლის აღებებლად.	ჯამი
ბორჩალოს რაიონი	—	2059	—	2601	190	4850
ლუქსემბურგის „	—	—	135	313	—	448
ყარაიას „	600	1093	—	278	73	2044
სიღნაღის „	—	132	—	404	15	551
გურჯაანის „	—	24	—	202	4	230
საგარეჯოს „	—	78	—	81	18	177
სულ	600	3.386	135	3.879	300	8.300

შენიშვნა. ბამბის დამზადების ამ გეგმაში არ შედის კულაკურ-შეძლებული მეურნეობების მიერ ბამბის ჩაბარება.

2. დაწესებულ იქნეს ნედლი ბამბის მოკრეფის და ჩაბარების შემდეგი საკალენდრო ვადები ცალკეული რაიონებისათვის:

რ ა ი ო ნ ე ბ ი	1933 წ. სექტემბერი	1933 წ. ოქტომბერი	1933 წ. ნოემბერი	1933 წ. დეკემბერი
ბორჩალოს რაიონი	5	50	40	5
ლუქსემბურგის „	8	50	37	5
ყარაიას „	8	50	37	5
სიღნაღის „	3	50	42	5
გურჯაანის „	2	50	43	5
საგარეჯოს „	2	50	43	5
ყარაიას საბჭ.მეურნ.	6	55	34	5

ნედლი ბამბის ხარისხობითი კრეფისა და მთელი მოსავლის ჩაბარების დამთავრების ვადად დაინიშნოს 1933 წ. დეკემბრის 10

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს,—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და დამამზადებელი პუნქტების მონაწილეობით,—განსაზღვრონ, ნედლი ბამბის მოსავლის აღებისა და დამზადების თვიური გეგმის საფუძველზე, ნედლი ბამბის მოსავლის მღებისა და ჩაბარების დიფერენცირებული ხუთდღიური გეგმები ცალკეული საბჭოებისა და კოლექტიური მეურნეობებისათვის ნედლი ბამბის სრულად დამწიფების მსვლელობის შესაბამისად; ამასთანავე, აიკრძალოს ამ გეგმების მექანიკურად შედგენა.

4. დაევალოს ზემოაღნიშნული რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, თავმჯდომარეების იმ მოადგილეთა პასუხისმგებლობით, რომელნიც გამოყოფილ არიან დამზადებათათვის, დაამუშაონ, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლექტიური მეურნეობების გამგეობათა მონაწილეობით, და განსაზღვრონ ნედლი ბამბის მოკრეფისა და ჩაბარების გეგმები, აგრეთვე ნედლი ბამბის მოსავლის აღების ვადები თვითეული კოლექტიური მეურნეობის და ბრიგადისათვის; თანაც დააზუსტონ გამომუშავების ნორმები ცალკეული ბრიგადების უბნების ხაზით მოსავლიანობისა და დამწიფების მიმდინარეობის კვალობაზე (ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხარისხობითი კრეფის საკითხებს).

5. მთელი პასუხისმგებლობა ნედლი ბამბის მოკრეფისა და ჩაბარების ორგანიზაციისათვის, სისწორით დახარისხებისათვის, გაშრობისათვის, სიწმინდისა და ტრანსპორტირებისათვის დაეკისროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—

იმ კოლექტიური მეურნეობების მიმართ, რომელთაც ეს სადგურები მომსახურეობას უწევენ, და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს — იმ კოლექტიური მეურნეობების მიმართ, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურეობას არ უწევენ, და აგრეთვე ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობების მიმართ.

6. დადგენილ იქნეს შემდეგი წესი კოლექტიური მეურნეობების მიერ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი თავიანთი დავალიანების დაფარვისათვის:

ა) 1933 წ. ოქტომბრის 1-თვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურები წარუდგენენ სათანადო დამმზადებელ პუნქტებს კოლექტიური მეურნეობების ნატურალური სასყიდლის დავალიანების აქტებს. ეს აქტები შედგენილ უნდა იქნეს თვითეული კოლექტიური მეურნეობისათვის ცალკე და ხელმოწერილი სათანადო სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორის და ბუჰხალტერისა და სათანადო კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარის მიერ; აქტში აღნიშნულ უნდა იყოს იმ ნედლი ბამბის რაოდენობა, რაც უნდა დაეჭიროს კოლექტიურ მეურნეობას მისი სამანქანო-სატრაქტორო სადგურისადმი დავალიანების დასაფარავად; დავალიანების გადახდა სწარმოებს აღნიშნული აქტების თანახმად;

ბ) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხვედრი ნატურსასყიდლის შესახები აქტების წარდგენისას, დამმზადებელი პუნქტები დაუჭერენ კოლექტიურ მეურნეობებს მიზიდული ბამბის პირველი პარტიებიდან ნატურსასყიდელს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სასარგებლოდ ნედლი ბამბის ნაწილის გადარიცხვით, ხოლო არა უმეტეს მიზიდული ბამბის რაოდენობის 50%-ისა, ისეთი ვარაუდით, რომ მთელი დავალიანება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი გადახდილ იქნეს 1933 წ. ოქტომბრის 20-თვის;

გ) მოსავლის მექანიზირებულად აღების ნატურსასყიდელი გადაიხდევინება თვითეულ დეკადაში მანქანების მიერ საანგარიშო პერიოდში მოგროვებული ბამბის რაოდენობის მიხედვით; ანგარიშის გასწორება ნატურსასყიდლის წესით შემოსული ბამბისათვის სწარმოებს ფაქტიურად ჩაბარებული ნედლი ბამბის ფასის მიხედვით;

დ) წინადადება მიეცეს საქტრაქტორცენტრს—ბამბის რეალიზაციის დამთავრებისას, მოახდინოს ნატურსასყიდლის სათანადო გადაანგარიშება ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებთან, ნედლი ბამბის ფაქტიური მოსავლიანობისა და ჩაბარების შესაბამისად.

7. კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობების იმ პურისა და ფულადი ავანსებით დავალიანების თავის დროზე დაფარვის მიზნით, რაც მათ ბამბის კონტრაქტაციისა, თესვისა და დამუშავების პერიოდში მიეცათ, დადგენილ იქნეს ამ ავანსების დაფარვის შემდეგი წესი:

ა) პურისა: დავალიანების 50% დაეჭიროთ 1933 წ. ოქტომბრის 10-მდე—ამერიკული თესლის ნედლი ბამბისათვის და 1933 წ. ოქტომბრის 20-მდე—ეგვი-

პტური თესლის ნედლი ბამბისათვის; დანარჩენი 50% დაეჭიროთ ამ ვადების შემდეგ მთელი ხვედრი პურის რაოდენობიდან დავალიანების სრულად დაფარვამდე; 1932 წლის კამპანიის პურის დავალიანება ბამბის მთესველებს დაეჭიროთ 1933 წლის ავანსების დაჭერის დამოუკიდებლად;

ბ) ფულადი ავანსების დაფარვა მოხდება შემდეგნაირად: კამპანიის დაწყებიდან 1933 წ. ოქტომბრის 10-მდე ფულადი ავანსების დასაფარავად დაიჭირება ჩაბარებული ნედლი ბამბის ღირებულების 50% ამერიკული ჯიშის ბამბაზე და 1933 წ. ოქტომბრის 20-მდე-ეგვიპტური ჯიშის ბამბაზე; ამ ვადების შემდეგ ჩაბარებული ნედლი ბამბის მთელი ღირებულება მიიქცევა ავანსების სავსებით დასაფარავად, ისე, რომ ანგარიშის გასწორება ამ ავანსებისათვის დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. ნოემბრის 15-ისა ამერიკული თესლის ბამბაზე და არა უგვიანეს 1933 წ. დეკემბრის 1-ისა ეგვიპტური თესლის ბამბაზე; ხოლო წარსული წლების საავანსო დავალიანების დაფარვა სწარმოებს იმ ავანსების დაჭერის დამოუკიდებლად, რაც გაცემულია 1933 წელს თესვისა და მიწის შემოყრისათვის, და იგი დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. ნოემბრის 10-ისა.

8. დაწესებულ იქნეს შემდეგი სტაციონარული შემსყიდველი პუნქტები: საქარხნო—შულავერსა და ყარაიაში და ქარხნების გარეშე—წნორის-წყალსა და ბადიაურში; აგრეთვე მიმსვლელი შემსყიდველი პუნქტი საგარეჯოს სადგურზე (სადაც ბამბის მიღება და ანგარიშის გასწორება სწარმოებს დეკადაში სამ დღეს). წინადადება მიეცეს „ზაგოტხლოპკის“ საქართველოს კონტორას—წინასწარვე დროულად განსაზღვროს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, ბამბის მიღებისა და ანგარიშის გასწორების დღეები, ამის შესახებ თავის დროზე ბამბის მთესველებისათვის შეტყობინებით.

9. ამერიკული ჯიშის ნედლი ბამბის მოკრეფა და მიღება უნდა სწარმოებდეს შვიდი ხარისხის სახით: 1-ლი ნარჩევი, 1-ლი ნორმალური, მინუსი, მეექვუმოკი, მე-2 ხარისხი, მე-3 ხარისხი და ნაკერტნ-კურაკი.

ეგვიპტური ჯიშის ნედლი ბამბის მოკრეფა და მიღება უნდა სწარმოებდეს ექვსი ხარისხის სახით: 1-ლი ნორმალური, მინუსი, მეექვუმოკი, მე-2 ხარისხი, მე-3 ხარისხი და ნაკერტნ-კურაკი.

10. 1933 წლის მოსავლის ნედლ ბამბაზე დაწესებულ იქნეს შემდეგი ფასები ცალკეული ხარისხებისათვის კილოგრამზე ნეტო ამერიკული და ეგვიპტური თესლისა (კაპიკობით):

	ნარჩევი	1 ნორმ.	მინუსი	მეექვუმოკი	მე-2 ხარ.	მე-3 ხარ.	ნაკერტნ-კურაკი
ამერიკული თესლი	33	32	30	27,5	26	24	23
ეგვიპტური ჯიშისა (ზემო ეგვიპტე)	—	62	56	50	44	36	28

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. დაწესებულ იქნეს, რომ შემსყიდველ პუნქტებზე მიზიდული ნედლი ბამბა მთლად მიღებულ უნდა იქნეს მიზიდვის დღესვე და აუცილებლად ბამბა-რებლის თანდასწრებით.

დაევალოს „ზაგოტხლოპოკის“ საქართველოს კონტორას აკრძალოს ისეთი ნედლი ბამბის მიღება, რომელიც უფრო ნოტიოა სტანდარტით დამტკიცებულ სინოტივესთან შედარებით.

12. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და ბამბასაწმენდი ქარხნების დირექტორებს და აგრეთვე დამმზადებელი პუნქტების გამგეებს—გულმოდგინებით დაამუშაონ „სოიუზზაგოტხლოპოკის“ ინსტრუქცია—ბამბის დანაკარგებთან ბრძოლის შესახებ—საკოლმეურნეო კრებებზე, საბჭოთა მეურნეობებისა, ქარხნებისა და შემსყიდველი პუნქტების მუშათა საწარმოო თათბირებზე და აგრეთვე ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს შორის.

13. ნედლი ბამბის გადაზიდვის რადიუსი განისაზღვროს 15 კილომეტრით; ამასთანავე, სავალდებულოა, რომ 15 კილომეტრზე მეტი მანძილისათვის ბამბის მთესველებს მიეცეს გადაზიდვის ღირებულება 50 კაპ. რაოდენობით ტონა-კილომეტრზე.

14. დაევალოს „ზაგოტხლოპოკის“ საქართველოს კონტორას:

ა) უზრუნველყოს დაუყოვნებლივ ყველა საბამბე რაიონში საწყობების და ფარდულების რემონტი და ტარას შეკვრა; ბ) დაამთავროს შულავრის ბამბა-საწმენდ ქარხანასთან ბეღლების და ფარდულების მშენებლობა.

15. წინადადება მიეცეს ზემოაღნიშნული რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაამთავრონ გზებისა, ხიდებისა და ბორნების რემონტი, რამაც უნდა უზრუნველყოს ნედლი ბამბის დაუცადებელი გადაზიდვა შემსყიდველ პუნქტებამდე.

16. ნორმირებული სასურსათო საქონლით ბამბის მთესველების დაუცადებელი მომარაგებისათვის ნედლი ბამბის ჩაბარებისთანავე უშუალოდ, წინადადება მიეცეს „ცეკავშირს“—გახსნას, არა უგვიანეს სექტემბრის 25-ისა, დამმზადებელ პუნქტებთან სპეციალური წერტები და დაევალოს „ზაგოტხლოპოკის“ საქართველოს კონტორას—მიუჩინოს „ცეკავშირს“ სათანადო სადგომები.

17. მიენდოს ჯანმრთელობის და განათლების სახალხო კომისარიატებს და „ცეკავშირს“—მოაწყონ ბორჩალოს და ყარაიას რაიონებში საბავშო ბაგები, ბაქნები და სხვა მისთ. ბამბის მთესველებისათვის მომსახურეობის გასაწევად.

ამ დაწესებულებათა ორგანიზაციის გეგმა, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მისი შეთანხმების შემდეგ, წარმოდგენილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად.

18. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინოს ხუთი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად საბამბე რაიონებისათვის, ბამბის მოსავლის აღების მთელი პერიოდის განმავლობაში, სამედიცინო მომსახურეობის გაწევის გეგმა.

19. წინადადება მიეცეს 1-ლ მუხლში აღნიშნული რაიონების საარაონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ ერთი დეკადის ვადაზე [illegible] დადგენილებანი საქონლის მიშვებით ბამბის წახდენასა და სხვაგვარ—[illegible] გებთან ბრძოლის შესახებ; აგრეთვე განიხილონ, შეამოწმონ და დაამტკიცონ მეველეთა და მცველთა პერსონალური შედგენილობა და იხმარონ ღონისძიებანი საქონლის მიშვებით ბამბის წახდენისა და დანაკარგების თავიდან ასაცილებლად როგორც მოკრეფის დროს, ისე მინდვრიდან შესყიდვის პუნქტებამდე გადაზიდვის დროს.

20. დამზადების კამპანიის პერიოდში (1933 წ. სექტემბრის 1-დან 1934 წ. იანვრის 1-მდე) დამმზადებელი პუნქტების მუშებისა და მოსამსახურეების მომარაგება უნდა სწარმოებდეს ბამბასაწმენდი ქარხნების მუშებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს აღნიშნული კატეგორიის მუშების დაუცადებელი მომარაგება.

21. ბამბის დამზადების მსვლელობისა და ქარხნების საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის ბამბასაწმენდი ქარხნების დირექტორთა და დამმზადებელი პუნქტების გამგეთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით დანიშნულ იქნენ ბამბის დამზადების საქმის პასუხისმგებელ რწმუნებულებად „ზაგოტხლოპოკის“ სისტემის ხაზით:

ა) ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონებში—შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნის დირექტორის მოადგილე ამხ. ქერიმოვი;

ბ) ყარაიას რაიონში—ყარაიას ბამბასაწმენდი ქარხნის დირექტორი ამხ. ხოჯაევი;

გ) გურჯაანის და საგარეჯოს რაიონებში—ბადიაურისა და საგარეჯოს შემსყიდველი პუნქტის გამგე ამხ. ნაცვლიშვილი;

დ) სიღნაღის რაიონში—წნორის-წყლის შემსყიდველი პუნქტის გამგე ამხ. ბერაძე.

22. წინადადება მიეცეს „ზაგოტხლოპოკის“ საქართველოს კონტორას დაამყაროს ნედლი ბამბის დამზადების მსვლელობის ხუთდღიანი ანგარიშგება ცალკეული რაიონებისა და სექტორების მიხედვით.

პასუხისმგებლობა მთლად საქართველოს სსრ-ში აღრიცხვის დაყენებისათვის დაეკისროს „ზაგოტხლოპოკის“ საქართველოს კონტორის მმართველს ამხ. თურქიას, ხოლო ადგილებზე აღრიცხვის დაყენებისა და თავის დროზე ანგარიშგების წარდგენისათვის—ბამბასაწმენდი ქარხნების დირექტორებს და შემსყიდველი პუნქტების გამგეებს.

გაფრთხილებულ იქნენ აღნიშნული პირნი, რომ არასწორი ცნობების წარდგენისათვის ისინი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

23. წინადადება მიეცეს „ზაგოტხლოპოკის“ საქართველოს კონტორას—დაუყოვნებლივ მიაწოდოს ადგილებს ინსტრუქციები: ა) 1933 წლის მოსავლის ნედლი ბამბის მიღებისა, შენახვისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციის შესახებ; ბ) მიღებული ნედლი ბამბისათვის ანგარიშის გასწორების შესახებ; გ) სათესლე ბამბის მიღების და შენახვის შესახებ და დ) ბამბის დანაკარგებთან და ადგილობრივ ჩარჩენასთან ბრძოლის შესახებ.

24. წინადადება მიეცეს ყველა სარაიონო ორგანიზაციას—წინამდგომარე ბამბა-დამზადების კამპანია ჩაატაროს კოლექტიურ მეურნეობათა და ერთპიროვნულ შრომის მეურნეობათა შორის ფართო მასური ახსნა-განმარტებითი კამპანიის გაშლისა, ბამბის დამზადების და ჩაბარების გეგმების ფართოდ განხილვის უზრუნველყოფისა, კოლექტიური მეურნეობების მიერ ბრიგადების მიმაგრებისა და მუშაობის სოციალისტური მეთოდების ყოველმხრივ გამოყენების საფუძვლებზე; თანაც აწარმოონ მკვეთრი ბრძოლა კულაკურ საბოტაჟთან, რაც მიმართულია ბამბის მოსავლის აღებისა და დამზადების კამპანიის ჩაშლისათვის.

25. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 7-ის დადგენილება „1933 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ბამბის დამზადების გეგმისა და ორგანიზაციის შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ფანცხავა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. სექტემბრის 19.
ტფილისი.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

303. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულებისათვის 12¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულებას (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 23 №-ი მუხ. 245) დაემატოს 12¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„12¹. სამმართველოს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე განაგებს საავტომობილო ტრანსპორტის საკითხებს“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1933 წ. სექტემბრის 4.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირგაბმულობა

304. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

„ამიერკავკასიის რადიო-კომიტეტის შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წ. აგვისტოს 23-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი ოპერატიული ფუნქციებით.

2. წინადადება მიეცეს ზემოაღნიშნულ კომიტეტს შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამ კომიტეტის დებულების პროექტი, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტების დებულებებთან.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს განსაზღვროს რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის შტატები და ხარჯთაღრიცხვა და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. წინადადება მიეცეს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ ს.კ. ს-თან—უზრუნველყოს რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი სადგომით კავშირგაბმულობის სახლში რადიომაუწყებლობის საჭიროებისათვის ამ სახლის მშენებლობის გეგმით დანიშნული სადგომის შესაბამისად.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. აგვისტოს 31.
ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

305. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 1.** ამა მუხლის მოქმედება, როგორც საერთო წესი, არა ვრცელდება ისეთ სადგომებზე, რომლებიც იჭერენ სეზონში საკურორტო და სააგარაკო ადგილას მისული პირები, სასტუმროებზე და მებლირებულ ნომრებზე და აგრეთვე აღნაგობის ხელშეკრულებით აგებულ, აღდგენილ და შენება-დამთავრებულ სახლებზე.

ხოლო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს ნება დართოს განსაკუთრებულ შემთხვევაში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს მოაწესრიგონ, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილ საფუძვლებზე, ცალკეულ საკურორტო და სააგარაკო ადგილებში იმ სადგომების ქირა, რომლებსაც იჭერენ სეზონში საკურორტო და სააგარაკო ადგილას მისული განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებები და ორგანიზაციები და მშრომელები“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. სექტემბრის 4.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

306. დადგენილება ს.კ.ს.

მანგლიხის კურორტზე 1933 წლის ზაფხულის სეზონში ოთახების ქირის მოწესრიგების შესახებ.

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი შენიშვნის მე-2 ნაწილის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202 1933 წ. 24 №-ი, მუხ. 305) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს აღბულახ-მანგლისის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—დააწესოს 1933 წლის ზაფხულის სეზონში მანგლისის კურორტზე ქირის ნორმები კერძო მფლობელობის სახლების იმ ოთახებზე, რასაც იქერენ ზაფხულის სეზონში იქ მისული განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებები და ორგანიზაციები და მშრომელები, შემდეგ საფუძველზე:

ა) ოთახები, ადგილმდებარეობისა და გამართულობის მიხედვით, ნაწილდება სამ კატეგორიად;

ბ) ქირის მაქსიმალური ნორმა მთელი ზაფხულის სეზონში (ივნისის 15-დან სექტემბრის 15-მდე) განისაზღვრება: 1-ლი კატეგორიის ოთახისათვის 15 მან. კვადრატულ მეტრზე, მე-2 კატეგორიის ოთახისათვის—12 მან. კვადრატულ მეტრზე და მე-3 კატეგორიის ოთახისათვის—8 მან. კვადრატულ მეტრზე:

გ) ოთახების კატეგორიებზე განაწილება შეიძლება მიენდოს ადგილობრივ სასოფლო საბჭოს.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. სექტემბრის 4.

ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

307. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოწყობილი მშრომელ ებრაელთა გადასახლებული და განსახლებული კოლექტიური მეურნეობებისათვის სახოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კო-

მისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 17-ის დადგენილების 22 მუხლით გათვალისწინებული გადასახლებულ კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-15 №-ი, მუხ. 206) გავრცელებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოწყობილ მშრომელ ებრაელთა შემდეგ გადასახლებულ და განსახლებულ კოლექტიურ მეურნეობებზე:

1) ვანო სტურუას სახელობის კოლექტიურ მეურნეობაზე (ლაგოდეხის რაიონი);

2) კავკასიური მსროლელი ლეგიონის სახელობის კოლექტიურ მეურნეობაზე (ახალციხის რაიონი);

3) „პირველი ნაბიჯის" კოლექტიურ მეურნეობაზე (ვანის რაიონი);

4) მიხეილ კახიანის სახელობის კოლექტიურ მეურნეობაზე (აბაშის რაიონი);

5) ამიერკავკასიის ფედერაციის სახელობის კოლექტიურ მეურნეობაზე (გორის რაიონი);

6) მშრომელ ებრაელთა მიწაზე მოწყობის აჭარისტანის საზოგადოების სახელობის მეურნეობაზე (ქობულეთის რაიონი);

7) მე-III ინტერნაციონალის სახელობის კოლექტიურ მეურნეობაზე (მცხეთის რაიონი);

8) „მშრომელი ებრაელის" კოლექტიურ მეურნეობაზე (ჭიათურის რაიონი);

9) კალინინის სახელობის კოლექტიურ მეურნეობაზე (სამტრედიის რაიონი);

10) ა. ჯაფარიძის სახელობის კოლექტიურ მეურნეობაზე (სენაკის რაიონი);

11) „შეგნების" კოლექტიურ მეურნეობაზე (ონის რაიონი);

12) ბირობიჯანის სახელობის კოლექტიურ მეურნეობაზე (ქუთაისის რაიონი);

13) მშრომელ ებრაელთა მიწაზე მოწყობის საქართველოს საზოგადოების სახელობის კოლექტიურ მეურნეობაზე (ხაშურის რაიონი);

14) „ახალი ცხოვრების" კოლექტიურ მეურნეობაზე (საგარეჯოს რაიონი);

15) „ახალი გზის" კოლექტიურ მეურნეობაზე (გორის რაიონი);

16) „პირველი ნაბიჯის" კოლექტიურ მეურნეობაზე (მარტვილის რაიონი).

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მისცეს ადგილობრივ ორგანოებს დირექტივა ამა დადგენილების განხორციელების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1933 წ. სექტემბრის 1.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

308. დადგენილება ს.კ.ს.

ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის ამგები კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის ამგები კომიტეტის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. **ლუნკევიჩი.**

1933 წ. სექტემბრის 14.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის ამგები კომიტეტის შესახებ.

1. ქ. ტფილისში ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის აგების ხელმძღვანელობისა და განხორციელებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის ამგები კომიტეტი თავმჯდომარისა და წევრების შედგენილობით, რომელთაც არჩევს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

2. ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის ამგებ კომიტეტს ეკისრება:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს აღნიშნული ინსტიტუტის შენობის საპროგრამო ამოცანები, პროექტი, მშენებლობის საერთო გეგმა და სამუშაოების საწარმოო და საფინანსო გეგმები;

ბ) საერთო მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს აღნიშნულ შენობის სამშენებლო სამუშაოებს;

გ) დაამყაროს ამ მშენებლობის დაფინანსების წესი და განკარგოს საამისოდ გადადებული სახსარი;

დ) უზრუნველყოს მშენებლობა საშენი მასალით და გაწყობილობით;

ე) დანიშნოს და დაითხოვოს კომიტეტის რწმუნებული და მისი მოადგილე სატექნიკო ნაწილისათვის;

ვ) განიხილოს და დაამტკიცოს მშენებლობის პერიოდული ანგარიშები და ბალანსები და წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად მშენებლობის საბოლოო ანგარიში დი დასკვნითი ბალანსი.

3. მშენებლობის პროექტის შედგენას, შენობის აგებას და მშენებლობის საშენი მასალით მომარაგებას კომიტეტი ანხორციელებს მის მიერ დანიშნული

რწმუნებულის მეშვეობით, რომელსაც ეკისრება უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა ყველა სამუშაოსათვის და კერძოდ:

ა) განიხილოს და წარუდგინოს კომიტეტს მშენებლობის საესკიზო-ტექნიკური ბოლოო პროექტი, საერთო და წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმები და ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვა, აგრეთვე სამუშაოების დაფინანსების საკალენდრო გეგმები;

ბ) დაამტკიცოს სამუშაოთა ნახაზები, შეფასების უწყისები, მუშაობის წარმოების ტექნიკური პირობები და სხვა მისთ.;

გ) დაამყაროს წესი სამუშაოების წარმოებისა სამეურნეო, სანარდო ან შერეული სახით, დამტკიცებული პროექტებისა და საკალენდრო გეგმების თანახმად და ზედამხედველობა გაუწიოს ამ სამუშაოებს;

დ) განკარგოს, კანონით და საკასო წესებით განსაზღვრული წესის დაცვით, მშენებლობისათვის გადადებული სახსარი;

ე) დაამზადოს და შეიძინოს საჭირო სამეურნეო და ტექნიკური ინვენტარი, გაწყობილობა და მასალა; მოაწყოს დამხმარე საწარმოო ერთეულები და გამართულებანი (სახელოსნოები, სატრანსპორტო საშუალებანი, საწყობები და სხვა მისთ.), რაც საჭიროა შენობისათვის მასალის დასამზადებლად და აგრეთვე რაც დანიშნულია სამშენებლო სამუშაოების რაციონალიზაციისა და მექანიზაციისათვის;

ვ) შეიძინოს და გაასხვისოს კანონით დადგენილი წესისამებრ ყოველგვარი ქონება; აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე შუამდგომლობა მშენებლობისათვის საჭირო მიწების მიჩენის შესახებ; დასდვას, მშენებლობის ამოცანების შესაბამისად, ყოველგვარი გარიგება, სხვათა შორის ნარდად მუშაობისა, ყიდვა-მიწოდებისა, ნასყიდობისა და ქონების დაქირავების ხელშეკრულებანი; აწარმოოს საკრედიტო და საფინანსო ოპერაციები საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებულ ფარგლებში და საკრედიტო გეგმების დაცვით; კერძოდ: გახსნას საკრედიტო დაწესებულებებში მარტივი და სპეციალური მიმდინარე ანგარიშები, აკრედიტივები და საკონტოკორენტო ანგარიშები; გამოვიდეს სასამართლო და საადმინისტრაციო ადგილებსა და დაწესებულებებში როგორც პირადად, ისე რწმუნებულთა მეშვეობით, მათთვის სათანადო რწმუნებულობისა და უფლებამოსილობის მიცემით; გასცეს სხვა ყოველგვარი რწმუნებულობა როგორც საერთო ხასიათისა, ისე ცალკეულ მინდობილობათა შესასრულებლად და, საერთოდ, ქმნას ყოველგვარი იურიდიული აქტი, რაც საჭიროა ჩამოთვლილ დავალებათა განხორციელებისათვის;

ზ) იქონიოს ურთიერთი მიმართვა, არსებული წესების კვალობაზე, თავისი გამგებლობის საგნების გამო, ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასთან, აგრეთვე კერძო პირებთან.

4. კომიტეტის რწმუნებულს ჰყავს იმავე წესით დანიშნული მოადგილე ტექნიკური ნაწილისათვის, რომელიც, არის-რა რწმუნებულის უახლოესი თანა-

შემწე, პასუხსაგებ ხელმძღვანელობას უწევს მშენებლობის მთელ ტექნიკურ ნაწილს.

რწმუნებულთან არსებობს საჭირო აპარატი (ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის ამგები კომიტეტის რწმუნებულის სამმართველო).

5. კომიტეტის სახსარს შეადგენს:

ა) ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის ასაგებად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული ასიგნები;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ აღნიშნული ინსტიტუტის მშენებლობისათვის გადადებული თანხები.

6. ი. ბ. სტალინის ინსტიტუტის შენობის დამთავრების შემდეგ კომიტეტი ლიკვიდირებულ უნდა იქნეს.

ლიკვიდაცია მოხდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილი წესისამებრ.

კომიტეტის იმ ვალებისათვის, რაც გადახდილ არ იქნება ლიკვიდაციის წესით, კომიტეტის განკარგულებაში ქონებული სახსრის ნაკლებობის გამო, პასუხს კრედიტორების წინაშე აგებს სახელმწიფო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სახით.

7. კომიტეტს და კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

---

309. დადგენილება ს.კ.ს.

1933-1934 სასწავლო წელს ათწლიანი პოლიტექნიკური სკოლის მესამე კონცენტრის ქსელის შესახებ.

ათწლიანი პოლიტექნიკური სკოლის მესამე კონცენტრის შემდგომი გაშლის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ძირითად სამრეწველო რაიონებში და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში 1933-1934 სასწავლო წლიდან დაწესებულ იქნეს ათწლიანი პოლიტექნიკური სკოლის მესამე კონცენტრის შემდეგი ქსელი:

[იხ. ცხრილი 676 გვერდზე].

შენიშვნა. ტფილისის რაიონის ქსელში მოთავსებულია 2 საცდელ-საჩვენებელი სკოლა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გაშალოს 1933 წლის სექტემბრიდან ათწლიანი პოლიტექნიკური სკოლის ქსელი 1-ლ მუხლში გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად.

[იხ. 1-ლი მუხ., გვ. 675].

№№ რიგ.	რაიონები	სკოლების რიცხვი	მე-8 ჯგუფი	მე-9 ჯგუფი	სულ ჯგუფები	სწავლების ენა	სკოლის სამყოფელი ადგილი
1.	აბაშის რაიონი	1	1	1	2	ქართული	აბაშა
2.	ამბროლაურის „	1	1	1	2	„	ხოტევი
3.	ახალციხის „	1	1	—	1	თურქული	ახალციხე
4.	ახალქალაქის „	1	1	1	2	სომხური	ახალქალაქი
5.	ბორჯომის „	1	2	1	3	ქართ. & რუს.	ბორჯომი
6.	ბორჩალოს „	1	1	—	1	სომხური	შაუმიანი
7.	გორის „	2	2	1	3	ქართული	გორი,ტყვიავი
8.	გურჯაანის „	1	1	1	2	„	გურჯაანი
9.	დუშეთის „	1	1	—	1	„	დუშეთი
10.	ვანის „	1	1	—	1	„	ვანი
11.	ზესტაფონის „	1	1	1	2	„	ზესტაფონი
12.	ზუგდიდის „	1	1	—	1	„	ზუგდიდი
13.	თელავის „	1	1	1	2	„	თელავი
14.	ლაგოდეხის „	1	1	—	1	„	ლაგოდეხი
15.	ლანჩხუთის „	1	1	1	2	„	ლანჩხუთი
16.	მარტვილის „	1	1	1	2	„	ბანძა
17.	ოზურგეთის „	1	2	2	4	„	ოზურგეთი
18.	ონის „	1	1	1	2	„	ონი
19.	საგარეჯოს „	1	1	—	1	„	საგარეჯო
20.	სამტრედიის „	2	2	1	3	„	სამტრ., ზანა
21.	სენაკის „	2	3	2	5	„	სენაკი
22.	სიღნაღის „	1	1	—	1	„	სიღნაღი
23.	სტალინისის „	1	2	1	3	„	სტალინისი
24.	ტფილისის „	22	27	25	52	„	ტფილისი
25.	ტყიბულის „	1	2	2	4	„	ტყიბ., ორპირ.
26.	ფოთის „	1	1	1	2	„	ფოთი
27.	ქუთაისის „	4	4	3	7	„	ქუთაისი
28.	ქვემო-სვანეთის „	1	1	1	2	„	ლეკსურა
29.	ყვარლის „	1	1	1	2	„	შილდა
30.	ჩოხატაურის „	1	1	—	1	„	ჩოხატაური
31.	ჩხარის „	1	1	1	2	„	ჩხარი
32.	ჩხოროწყუს „	1	1	1	2	„	ახუთი
33.	წალენჯიხის „	1	1	—	1	„	წალენჯიხა
34.	ჭიათურის „	1	1	1	2	„	საჩხერე
35.	ხობის „	1	1	1	2	„	ხობი
36.	ხონის „	1	1	1	2	„	ხონი
37.	ხორაგოულის „	1	1	—	1	„	ხორაგოული
38.	აფხაზეთის ავტ. სსრ	8	11	10	21	„	
39.	აჭარისტანის ავტ. სსრ	4	4	3	7	„	
40.	სამხ.-ოს. ავტ. ოლქი	4	4	1	5	„	
		80	93	69	164		

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს უზრუნველყონ 1-ლ მუხლში აღნიშნული ათწლიანი პოლიტექნიკური სკოლის ქსელის სათანადო დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტით.

4. კატეგორიულად აეკრძალოთ სარაიონო და საქალაქო ორგანოებს ათწლიანი პოლიტექნიკური სკოლის მესამე კონცენტრის ჯგუფების გახსნა დამტკიცებული ქსელის გარეშე.

5. საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში სკოლების სამყოფელ ადგილებს ათწლიანი პოლიტექნიკური სკოლის მესამე კონცენტრის ქსელის ფარგლებში განსაზღვრავენ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვალი.**

1933 წ. სექტემბრის 5.
ტფილისი.

---

310. დადგენილება ს.კ.ს.

პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ბაზისების სადგომებით უზრუნველყოფის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. მაისის 19-ის ცირკულარული წერილისა და ამ წერილის საფუძველზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული 1933 წ. ივნისის 17-ის დადგენილების შესაბამისად (ოქმი № 70, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. კატეგორიულად აეკრძალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ბაზისებისათვის სადგომების ჩამორთმევა.

2. დაევალოს ხელისუფლების იმ ორგანოებს, რომელთაც უკანონოდ ჩამოართვეს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ბაზისებს სადგომები, დაუყოვნებლივ დააბრუნონ ეს სადგომები კუთვნილებისამებრ, ან მიუჩინონ აღნიშნული საზოგადოების ბაზისებს სხვა თანაბარი სადგომები.

3. შემდგომში პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებისათვის სადგომების ჩამორთმევა შეიძლება მარტოოდენ ამ საზოგადოების ორგანოებთან შეთანხმებით და იმ პირობით, რომ მათ მიეცეს სხვა სათანადო სადგომები.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ პროკურორს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—დაამყარონ სასტიკი ზედამხედველობა პრო-

ლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ბაზისების საბჭომთა პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

5. მიენდოს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. სექტემბრის 4.

ტფილისი.